ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის
N131 ბინაზე, მოქალაქე ელდარი გორგოძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ხარებავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N131 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ელდარი გორგოძის წარმომადგენლის დავითი ნიკურაძის განცხადება /2012 წლის 13.08 N6–5843/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N131 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ელდარი გორგოძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N131 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ელდარი გორგოძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ხარებავას ქუჩა N2 საცხოვრებელი სახლის N131 ბინაზე /საერთო ფართობი 53,52 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,20 კვ.მ, დამხმარე ფართობი 26,32 კვ.მ./ მოქალაქე ელდარი გორგოძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი ი.ჯიქია